საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 7 (6596) 10 თებერვალი ხუთშაბათი 1994 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორის ელცინის ვიზიტი საქართველოში

8 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი.

იგი ჩამოვიდა როგორც მეზობელი, მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი თანასწორ, თანატოლ, პარტნიორ ქვეყანაში, რომელთანაც უნდა ითანამშრომლოს და მომავალშიააგოს თავისი ურთიერთობა.

დელეგაციას აეროპორტში შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

მთავრობის სახლში დახურულ კარს მიღმა გაიმართა პრეზიდენტ ბორის ელცინსა და სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს შორის მოლაპარაკება. ამავე პერიოდში მოეწყო შეხვედრები რესპუბლიკის პრემიერ—მინისტრ ოთარ ფაცაციას რუსეთის თავდაცვის მინისტრ მიხეილ გრაჩოვთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეი კოზირევსა და სხვა ოფიციალურ პირებთან.

თბილისის მერიაში მოეწყო შეხვედრა სანკტპეტერბურგის მერ ანატოლი სობჩაკთან.

შეხვედრებისა და მოლაპარაკებათა შემდეგ მოეწყო ხელშეკრულებებზე ხელმოწერა.

დღის მეორე ნახევარში პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართეს პრესკონფერენცია.

ოფიციალურ სადილზე ბორის ელცინმა და ედუარდ შევარდნაძემ წარმოთქვეს სიტყვები.

### ხელმძღვანელის გრიგორია

## თუ მხარდაჭერა იქნება...

**ქალაქის იერსახის შენარჩუნება, სისუფთავისა და წესრიგის დამყარება, ქალაქის მცხოვრებთა ელემენტარული, მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა მოგვარება კომუნალური მეურნეობის გამართულ, მოწესრიგებულ და შეუფერხებელ მუშაობაზეა დამოკიდებული, რომლის დეფიციტს ასე მწვავედ განიცდიდა და განიცდის ქალაქის მოსახლეობა. ახლახან ამ სამსახურს ახალგაზრდა კაცი გოგი გიორგის ძე ბენიძე ჩაუდგა სათავეში. რა პირობებში უხდება მას მუშაობა, რა გააკეთა და რის გაკეთება აქვს პერსპექტივაში?— შევხვდით და ამ კითხვებით მივმართეთ მას.**

ცაგერის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატში სამუშაოდ გასული წლის აგვისტოში მოვედი, 1 სექტემბერს, მისვლიდან 11 დღის შემდეგ შესაბამისმა რესპუბლიკურმა სამმართველომ დამამტკიცა, მაგრამ სამუშაოზე მისვლისთანავე, როცა შესასვლელი კაბინეტის კარებიც ჩამოღებული დამხვდა და ელემენტარულად გადავხედე რა კომუნალური მეურნეობის საქმიანობას, გადავწყვიტე, დასამტკიცებლად არ წავსულიყავ, რადგან ფაქტიურად ორგანიზაცია არ არსებობდა. ყველა დამეთანხმება, დღეს თუ რა პირობებში გვიხდება ცხოვრება, ძარცვა—ყაჩაღობაა ვერც კომუნალური მეურნეობა გადაურჩა. ბევრი ვიფიქრე და რადგან ეს ნაბიჯი გადავდგი, თავზე ავიღე ტვირთი, რასაც ხალხის კეთილსინდისიერი მომსახურება ჰქვია, მაგრამ როგორ, რა საშუალებებით?

ხელ—ფეხს გვიბორკავს მუშაობის შემაფერხებელი პრობლემები, არ მუშაობდა კომუნალური მეურნეობის არც ერთი დარგი, ჯერჯერობით ასეა ახლაც. განადგურებულ—გაძარცვული დამხვდა ცენტრალური გათბობის საქვაბე, რაზეც ყოფილ ხელმძღვანელობასაც მიუწერია პოლიციისათვის, საიდანაც არავითარი რეაგირება არ მომხდარა. ჩემი მისვლისთანავეც მივწერე პოლიციას, იქნებ ნაწილობრივ მაინც ამოღოთ ნაძარცვი და ნაქურდალი, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მივაღწიე. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქის ერთადერთ აბანოში, სადაც მარტო კედლებია დარჩენილი და იმასაც უმოწყალოდ ძარცვავენ და ეზიდებიან.

მოსალოდნელი ეპიდემიის გავრცელებისაგან თავის დასაცავად, სასწრაფო იყო ნაგვით სავსე ქალაქის გაწმენდა. მივაკითხე რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ რაიონში არანაირი საწვავი ჩვენთვის არ აღმოჩნდა. რა უნდა მექნა, ჩემთვის საზამთროდ შემონახული ბენზინი გამოვიყენე და ქალაქის ნაწილობრივი გაწმენდა მაინც შევძელით.

გაძარცულია კომუნალური მეურნეობის ავტოტრანსპორტი. ჩვენს ბალანსზე არსებული 7 ავტომანქანიდან ამ ხუთი თვის მანძილზე ძლივსძლივობით ოთხი ავტომანქანის მოყვანა შევძელით, დანარჩენი ავტომანქანების კვალი მიკვლეულია. მთელი კოლექტივის სახელით თხოვნით მივმართე რაიონის პროკურატურას, მიმდინარეობს ძიება და იმედია აღნიშნულ ავტომანქანებსაც დავიბრუნებთ.

დასასრული მე—2 გვერდზე

ზამთარი

## ელექტროენერგია: გამორთვები მხოლოდ აუცილებლობის გამო

შიმშილი, გაჭირვება, სიდუხჭირე არ გვაკლია, მაგრამ ერთი სიკეთე კი გვაქვს, ელექტროენერგია თითქმის უწყვეტად არის მთელი ზამთრის განმავლობაში და მაინც ზამთარი ზამთარია, ჩვენი ელექტრობოძების შემხედვარე მცირე თოვლი და ნიავიც კი აზიანებს ელექტროგაყვანილობას. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა და სიმარჯვე მართებთ ცაგერის საქსელო უბნის მუშაკებს, რომ სინათლე მაინც ექნეთ ნერვებდაღლილ ადამიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ მოსახლეობას სამდურავი არა აქვს, არის იძულებითი გათიშვის შემთხვევები. ამის მთავარი მიზეზი უწყლობაა. მშრალი ზამთრის პირობებში ლაჯანურჰესს მხოლოდ ერთი გენერატორი მუშაობს და იმასაც არ ყოფნის წყლის დონე ამიტომ ჰესის ინჟინერ—ტექნიკური პერსონალი მოსალოდნელი ავარიული ან აუცილებელი შეკეთების დროს გამორთავს ხოლმე მცირე ხნით სისტემას, რაც აბსოლუტურად სწორია და ამას ჩვენი მოსახლეობა გაგებით უნდა მოეკიდოს. ამას იმიტომ ვამბობ ხაზგასმით, რომ არის ცალკეული შემთხვევები, როცა ენერგოკრიზისის დროს ქსელში ჩაირთო დაუშვებელი სავამყოფო ან სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტი, რასაც ბევრის გულისწყრომა მოჰყვა.

ასე რომ, მოსახლეობას ერთხელ კიდევ განვუმარტავთ, რაკი ელექტროსადგური ჩვენს ტერიტორიაზეა გამორთვების გრაფიკში არა ვართ შეტანილი და თუ ასეთი მაინც მოხდა, ეს აუცილებლობითაა გამოწვეული.

ზამთრის ამ დღეებში გაძლიერებულ მორიგეობაზე ვართ გადასული ბევრი ხელაღებული იარაღითაც კი შემოდის სამორიგეოში და ითხოვს სინათლის ჩართვას. ამ დროს ჩვენ თავად არა ვართ ინფორმირებული რა მოხდა, რადგან ელექტროენერგიის გათიშვას ხაზის გათიშვაც მოჰყვება ხოლმე. ამიტომ ოფიციალურად დავსვით საკითხი რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელობის წინაშე, რომ სასურველია გვქონდეს რაციული კავშირი ჰესთან, ან ერთი კავშირი იყოს კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში ან სხვა ორგანიზაციაში, რომ ვისარგებლოთ და როგორც სპეციალისტები ვფლობდეთ სწორ, ოპერატიულ ინფორმაციას.

მოსალოდნელი ექსცესები რომ გამოირიცხოს, კარგი იქნება ღამის 12 საათამდე მაინც პოლიციის მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ ვიყოთ, ამით ავიცილებთ გარეშე პირთა თვითნებობას, რომლებიც აშინებენ და შეურაცხყოფენ ჩვენს მუშაკებს. არც ქურდობა—დატაცებაა ჩვენთვის უცხო. ამას წინათ მორიგეები რამდენიმე წუთით რაისაავადმყოფოში გავიდნენ გამოძახებაზე. დაბრუნებულებს კარებიც მოპარული დაუხვდათ და ტელეფონის აპარატიც. აბა, რა გულით შეიძლება იმუშაო, როცა ქვედა ცაგერში, ჭალისთავში 3 ტრანსფორმატორიდან ზეთიც კი წაიღეს.

იმის გამო, რომ ელექტროხაზები მოძველებული, ამორტიზებულია გვიხდება ძველის შეკეთება—აღდგენა, გადაბმა და ა. შ. ამიტომ ბუნებრივია, ხშირად და ადვილად ზიანდება. საქსელო უბანს არანაირი მატერიალური საშუალება არ აქვს ახალი ხაზის მშენებლობისათვის; ადგილობრივმა საკრებულოებმა, სოფლის მოსახლეობამ თავიანთი საშუალებებით და ძალით უნდა მოუარონ თავიანთ ქსელს, იზრუნონ ახლის მშენებლობისათვის, ჩვენზე რაცაა დამოკიდებული, მზად ვართ ყველა უბანში გავიდეთ და დავეხმაროთ.

ძალზე გვიჭირს საწვავზე. მთელი ზამთრის განმავლობაში 300 ლიტრი „სალიარკა" გამოგვიყვეს, რომლითაც დიდი—დიდი 1 თვე შეიძლება ვიბოგინოთ, არადა ხშირია გამოძახება. ერთი მონტიორი სამ—ოთხ სოფელს ემსახურება და ვერ აუდის, აუცილებელია ბრიგადული გასვლა ადგილებზე, რაც დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

**ამირან ყურაშვილი,**
**ცაგერის საქსელო უბნის უფროსი.**

## მკითხველო!

**ხელმოწერა გაზეთ «ლეჩხუმზე» გრძელდება. იჩქარეთ, გამოიწერეთ!**

ლეჩხუმი

სპეციალისტი

განმარტავს

კანონს



# „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“

**საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა უკანასკნელ პერიოდში მიიღო კანონთა ახალი პაკეტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებს. ხულ მიღებულია 8 კანონი.**

**რედაქციამ ცალკეული კანონების მიხედვით კომენტარი სთხოვა ცაგერის საგადასახადო ინსპექციის მუშაკებს, ამჯერად გთავაზობთ კანონის „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ განმარტებას.**

უკვე ამოქმედდა და ძალაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

კანონი ბევრ სიახლეს შეიცავს დაუბეგრავ შემოსავალში, საგადასახადო შეღავათებსა და სხვა საკითხებში.

ახალი კანონით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის როგორც მქონე, ისე არმქონე ფიზიკური პირები. საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონეთ მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში იმყოფებიან წელიწადში სულ ცოტა 183 დღე.

ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია კალენდარული წლის განმავლობაში როგორც ფულადი (ეროვნულ ან საზღვარგარეთულ ვალუტაზე) ისე ნატურალური ფორმით მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებულია როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან.

ახალი კანონით გადასახადის განაკვეთში კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადს იხდიან შემდეგი ოდენობით.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა ასე განისაზღვრება:

10000.000 კუპონამდე შემოსავლისას დასაბეგრი შემოსავლის მთლიანი ოდენობა 12 პროცენტია,

10.000.001—დან 20000000 კუპონამდე 1200.000 კუპონს პლიუს 10.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 15 პროცენტი,

20.000.001—დან 30000000 კუპონამდე შემოსავლისას 2.700.000 კუპონს პლიუს 20.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 17 პროცენტი,

30.000.001—დან ზევით—4.400.000 კუპონს პლუს 30.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 20 პროცენტი

ახალი კანონით ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი გადასახადით დაბეგვრის პერიოდში მცირდება

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით შემოსავლის მიღებით თითოეულ სრულ თვეზე.

ბ). გადასახადით დაბეგვრის დაქვემდებარებული შემოსავლის თანხით, რომელიც მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე გადაირიცხება საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით რეგისტრირებულ საქველმოქმედო ფონდებში.

გ). ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხით შემოსავლის მიღების თითოეულ სრულ თვეზე ყოველი ბავშვისა და კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით, მაგრამ თვეში არა უმეტეს შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების სამმაგი ოდენობისა.

შემოსავალი მცირდება: ბავშვებზე 18 წლის ასაკამდე; დღის სწავლების სტუდენტებზე და მოსწავლეებზე 24 წლის ასაკამდე. კმაყოფაზე მყოფ სხვა პირებზე, რომელთაც არ აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

ეს წესი ვრცელდება იმ წლის ბოლომდე, რომელშიც ბავშვებს უსრულდებათ 18 წელი, სტუდენტებს და მოსწავლეებს 24 წელი.

შემოსავლის შემცირების ეს წესი ვრცელდება ორივე მეუღლეზე, რომელთა კმაყოფაზე არიან ბავშვები და კმაყოფაზე მყოფი პირები, მათი წერილობითი განცხადებისა და ბავშვების და კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე.

ფიზიკურ პირთა შემოსავალი მცირდება იმ თვიდან დაწყებული, როდესაც დაიბადა ბავშვი ან წარმოიშვა კმაყოფაზე მყოფი პირი.

კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის შემცირებისას ან წლის განმავლობაში შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების წარმოქმნისას მათი შენახვის ხარჯების გამორიცხვა წყდება იმ თვის მომდევნო თვიდან დაწყებული, როცა კმაყოფაზე მყოფთა რიცხვი შემცირდა ანდა მათ წარმოექმნათ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

გადასახადით დაბეგვრისას კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვში ჩაითვლება პირი, რომელიც ცხოვრობს ფიზიკური პირის სახსრების ხარჯზე და არა აქვს შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, იმის მიუხედავად, ეს პირი არის თუ არა ნათესაურ კავშირში.

ფიზიკური პირები, რომელთა შენახვისათვის პენსიის ოდენობის განსაზღვრისას დარიცხულად დანამატი, კმაყოფაზე მყოფად ჩაეთვლება [illegible] ფიზიკურ პირს, რომელსაც დაერიცხება [illegible].

გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო და დასაზვერვო საინფორმაციო სამსახურის ორგანოების რიგითი, აგრეთვე უმცროსი, უფროსი და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა—სამსახურის ადგილას ან სასწავლო და შესამოწმებელ შეკრებაზე ყოფნისას მიღებული ფულადი კმაყოფის, დღიურის და სხვა თანხების მიხედვით.

ბ). ბავშვობიდან ინვალიდები, აგრეთვე პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები.

გ). მეორე მსოფლიო ომისა და სხვა საბრძოლო ოპერაციების მონაწილე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები

დ). გმირი დედები.

2. გამოანგარიშებული გადასახადის 50 პროცენტის გადასახადისაგან თავისუფლდებიან პირველი მეორე ჯგუფის ინვალიდები. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინვალიდების გარდა.

კანონი „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ ვრცელია. იგი დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ საანგარიშო დარგის მუშაკები ვალდებულნი არიან ღრმად შეისწავლონ და გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში. გაუგებარი საკითხის წარმოშობისას მიმართონ რაიონის საგადასახადო ინსპექციას.

# თუ მხარდაჭერა იქნება...

(დასასრული)

კომუნალური მეურნეობის ბალანსზეა აგრეთვე ტრაქტორი „ბელარუსი“, რომელიც თავისი მძღოლით ამ ოთხი თვის წინ ორგანიზაციიდან „გაიპარა“, მაგრამ რაიონის პოლიციისა და პროკურატურის დახმარებით ტრაქტორი დავიბრუნეთ, თუკი ასე სხვა საქმეშიც დაგვეხმარებიან, პატარა იმედი გამოჩნდება და ჩვენს მუშაობას სტიმული მიეცემა.

ახლა უკვე ის პერიოდია, როცა ქალაქი კვლავ გასაწმენდია ნაგვისაგან მაგრამ რით, როგორ? რამდენიმე მიმართვა გავუგზავნე რაიონულ საკრებულოს საწვავის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ, ვერ გამიგია რაიონში საწვავი გაჩნდეს და იგი ქალაქის გასაწმენდად, ქალაქიდან ნაგვის გასაზიდად კომუნალურმა მეურნეობამ ვერ მიიღოს? თუკი საწვავი გაგვიჩნდება და დამეხმარებიან, რა გამოლევს კეთილ ადამიანებს, ყველა მზირდება ავტოტრანსპორტო საშუალებებით დახმარებას.

სასმელი წყლით ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფა არანაკლები პრობლემაა. განადგურებულ წყალსადენში მუშაობის ელემენტარული პირობებიც არაა. იქაურობას შემორჩა მხოლოდ ერთადერთი წყლის სატუმბი ძრავი, რომელზედაც ვართ დამოკიდებული და ისიც რომ გაჩერდეს, მაშინ თქვი ჩვენი გასაჭირი. საკითხი დავაყენეთ შესაბამის სამმართველოში და დაგვპირდნენ, ერთადერთი ცალიც რომ გაჩნდეს, თქვენ მოგცემთო და ჩვენც ამ მოლოდინში ვართ. მანამდე კი გილაც ვილაცებზე თხოვნით და მუდარით რაღაცას ვებამთ თავს და ვახერხებთ ქალაქი უწყლოდ არ დარჩეს. ამ უკანასკნელ პერიოდში ალბათ ქალაქის მომხმარებელი ამჩნევს კიდეც, რომ ქალაქის წყლით უზრუნველყოფა გაცილებით გაუმჯობესებულია. ას ევეა ჩვენი გაერთიანების სხვა დარგები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ამოქმედდნენ.

საჭიროა საბუღალტრო აღრიცხვაში კომპეტენტური პირთა ღრმად ჩახედვა, კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ ბევრ ლაპარაკს ჩუმად საქმის კეთება სჯობს.

რაც შეეხება თვით კოლექტივს, ცენტრალურ აპარატს, ბევრი წავიდა, ბევრი ახალი მივიღეთ, საერთო ჯამში ვცდილობთ ჯანსაღი კოლექტივის ჩამოყალიბებას, რომელიც მზად იქნება ყველა საქმე გააკეთოს, რაც ჩვენზე იქნება დაკისრებული.

მკითხველმა ცუდად არ გამიგოს, სიმართლე გითხრათ, სულით და გულით მინდა საქმე გავაკეთო, მაგრამ გვერდით თუ არავინ დამიდგა, თანადგომა და თანაგრძნობა არ ვიგრძენი, გამიჭირდება.

პროფესიონალი

# ემსახურება სხვებს

ქალაქის სასტუმროში მცხოვრები ლტოლვილები არა ერთხელ შემხვედრიან ახალი ლავაშებით ხელში. პური, ოღონდაც პური იყოს მათთვის და ჩვენთვისაც და სხვა რამეზე როგორ გავბედავთ პრეტენზიას, ვფიქრობ ჩემთვის.

უმეტესწილად პროფესასწავლებლის სასადილოში შეაქვთ გამომცხვარი პური, სადაც მწირი საუზმე—სადილი მზადდება ამ გაუბედურებული ხალხისთვის.

ქალაქის ქართული თონის მცხობელს შოთა საღინაძეს მთელი რაიონი იცნობს. საქმის უბადლო ოსტატია, გამოცდილი, უღალატო, გულიანი კაცი. რაიონში ჭირია თუ ლხინი, მისი გამომცხვარი ფუმფულა, სურნელოვანი პური ამშვენებს სუფრას.

ახლა ლტოლვილებისათვის აცხობს ლავაშს. გვიან საღამოს მისცემენ ფქვილს და მთელი ღამე ფეხზეა. აცხობს რომ დილაადრიან შეუფერხებლად გაიგზავნოს პური ლტოლვილთათვის, სულ 150 კილოგრამ ფქვილს ამუშავებს.

ამ შიმშილობის ჟამს გარეშე პირთა შემოტევა ან რაიმე ზეწოლა ხომ არ შეინიშნება?—ვეკითხებით.

ვის მოუბრუნდება ენა ამ გაუბედურებული ხალხის ლუკმა მიწილადეო. კიდეც რომ მოუბრუნდეს, ვის მივცემ.

...კიდევ ერთი დილა გათენდა მუხლჩაუხრელ შრომაში. დაღლილი, მაგრამ ნასიამოვნები მიუყვება გზას შინისაკენ, კმაყოფილი, რომ ემსახურება ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ჩვენი გულის სითბო, სიკეთე და თანადგომა თუ გადაარჩენს. ლტოლვილები შინაც ჰყავს და იმათაც ხომ უნდა მიხედვა...

**მ. გურული,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1994

(თარიღები აღნიშნულია ძველი სტილით, ფრჩხილებში მითითებულია ახალი სტილით).

ქვეყნის დასაბამიდან 7598 წელი.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებიდან (3 26)—1667 წელი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაარსებიდან (468)—1526 წელი.

წელიწადი მცხრალია და შეიცავს 365 დღეს.

**საეკლესიო სამახსოვრო დღეები**

12 (25 მარტი)— საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917 წელი).

25 დეკემბერი (ახ. სტ) —ინტრონიზაციის დღე უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II (1977წ).

2 აგვისტოს (ახ. სტ.) ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ილია II.

**უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები**

**ბრწყინვალე აღდგომა**— უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი—18 აპრილი (1 მაისი).

**ათორმეტთაგან მოძრავნი**

**ბზობა,** დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 11(24) აპრილი.

**ამაღლება**—უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი—27 მაისი (9 ივნისი).

**სულთმოფენობა** სულიწმიდის გარდამოსვლა—6 (19 ივნისი).

**ათორმეტთაგან უძრავნი**

**ნათლისღება**— განცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი—6 (19) იანვარი.

**მირქმა**—უფლისა ღვთისა მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი—2 (15) თებერვალი.

ხარება —ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა—25 მარტი (7 აპრილი).

**ფერისცვალება**—უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 6 (19) აგვისტო.

**მიძინება**— ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა—15 (28) აგვისტო.

**შობა** — ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა 8 (21) სექტემბერი.

**მსოფლიო ამაღლება**— პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა 14 (27) სექტემბერი.

**ტაძრად მიყვანება**—ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა 21 ნოემბერი—(4 დეკემბერი).

**ხორციელად შობა იესო ქრისტესი**—25 დეკემბერი (7 იანვარი).

**დიდნი დღესასწაულნი**

წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხსენება წმიდა ბასილი დიდისა— 1 (14) იანვარი.

**შობა** იოანე ნათლისმცემლისა—24 ივნისი (7 ივლისი).

ხსენება თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი —28 ივნისი (12 ივლისი).

თავისკვეთა იოანე ნათლისმცემლისა—29 აგვისტო (11 სექტემბერი).

საფარველი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა მარიამისა, მცხეთობა—სვეტიცხოვლობა (კვართის დღესასწაული)— 1 (14 ოქტომბერი).

ხსენება წმინდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლებლისა 14 (27) იანვარი და 19 მაისი (1 ივნისი).

**გარდამავალნი დღესასწაულნი**

ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელისა—ყველიერის ხუთშაბათს.

თედორე ტირონისა, თევდორობა—დიდმარხვის პირველ შაბათს..

წმ. გრიგოლ პალამასი. თესალონიკელ მთავარეპისკოპოსის დიდმარხვის მეორე კვირას.

ღირსისა მამისა იოანე კალემაქსისა —დიდმარხვის მეოთხე კვირას.

ღირსისა დედისა მარიამ მეგვიპტელისა—დიდმარხვის მეხუთე კვირას.

მართლისა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება—ბზობა წინა შაბათს.

გამოცხადება ივერიის ღვთისმძობლის ხატისა—ბრწყინვალე შაბათს.

მენელსაცხებლე დედათა —აღდგომიდან მესამე კვირას.

წმ. კეთილმსახურისა თამარ მეფისა—მენელსაცხებელთა კვირას და 1 (14) მაისი.

წმიდისა მართლისა ტაბითასი—განრღვეულის კვირას.

ღირსისა მამისა ჩვენსა დოდო გარეჯელისა—ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს.

ღირსისა მამისა დავით გარეჯელისა—ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს. ხსენება ყოველთა წმიდათა—სულთმოფენობის სწორ კვირას.

**მარხვების დასაწყისი**

**დიდი მარხვა** — 1 (14) მარტი.

**პეტრე—პავლობის მარხვა**—14 (27) ივნისი.

**მიძინების მარხვა**—1 (14) აგვისტო.

**შობის მარხვა**—15 (28) ნოემბერი.

**ერთდღიანი მარხვები**

ყოველი შვიდეულის ოთხშაბათ—პარასკევს [illegible] მსგეფსისა.

ნათლისღების [illegible] —5 (18) იანვარს მძიმე მარხვა.

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს—29 აგვისტო (11 სექტემბერი)—მძიმე მარხვა.

ჯვართამაღლებას—14 (27) სექტემბერს—მძიმე მარხვა.

**მსგეფსი (ოთხშაბათ—პარასკევს ხსნილი)**

შობიდან ნათლისღებამდე —25 დეკემბრიდან (7 იანვარი) 4 (17) იანვრამდე.

მეზვერისა და ფარისევლის შვიდეულში —8(21) თებერვლიდან 14 (27) თებერვლამდე.

ყველიერის შვიდეულში (ყველით და კვერცხით)—23 თებერვლიდან (7 მარტი) —1 (13) მარტამდე.

ბრწყინვალე შვიდეულში —19 აპრილი (2 მაისი)—დან 25 აპრილამდე (8 მაისი).

სულთმოფენობის შვიდეულში 7 (20) ივნისიდან 13 (26) ივნისამდე.

**მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები**

ხორციელის შაბათი—20 თებერვალი (5 მარტი).

დიდმარხვის პირველი შაბათი 6 (19) მარტი.

დიდმარხვის მეორე შაბათი—13 (26) მარტი.

დიდმარხვის მესამე შაბათი 20 მარტი (2 აპრილი)

დიდმარხვის მეოთხე შაბათი—27 მარტი (9 აპრილი).

ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი—21 აპრილი (4 მაისი).

სულთმოფენობის წინა შაბათი, სულის შაბათი 5 (18) ივნისი.

დიმიტრის შაბათი—16 (29) ოქტომბერი.

---

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით

## შეჩერებულია ხე-ტყის რეექსპორტი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ტყის რესურსების რაციონალურად განაწილებისა და მიზნობრივად გამოყენების, საქმიანობაში არსებული დარღვევების აღსაკვეთად, რესპუბლიკის ტყეების დაცვის გასაძლიერებლად 1994 წლის 1 თებერვლიდან დროებით 2 წლის ვადით შეჩერდა საქართველოს ტერიტორიიდან ხე—ტყის (მორები, დახერხილი მასალა, პარკეტი, დაწნეხილი ფილები, საავეჯო დეტალები და სხვა შავად ნამზადი) რეექსპორტი.

ასევე მიმდინარე წლის 1 მარტიდან შეწყდა ხე—ტყის და ხე—ტყის პროდუქტების რეექსპორტზე ლიცენზიების გაცემა.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს კატეგორიულად აეკრძალათ სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვის რაიონული ორგანიზაციების სპეციალისტების დასკვნების და რაიონის გამგეობათა გადაწყვეტილების გარეშე მოსახლეობის ან რაიონული და საქალაქო დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციებისათვის სამასალე ხე—ტყის გამოყოფა და ამ საკითხზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების უკლებლივ ყველა ორგანიზაციას და მოსახლეობას აეკრძალა მათთვის დადგენილი წესით გამოყოფილი ხე—ტყის მასალების გასხვისება ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

**რაიონული საქრეგულოს ბუნების დაცვის განყოფილება.**

---

## სახალხო მკურნალთა რეცეპტები

**თითების ნებისმიერი დაავადებისას,** მაგალითად ტრავმისას (ძვლები თუ მთელია) თითს შემოახვიეთ ოქროთი მოვარაყებული კამფეტის ქაღალდი გამდნარი ან კილოტა (ფოლგა). ქაღალდი უნდა იყოს მთელი, დაუზიანებელი. ერთი ორი დღის შემდეგ თითი განიკურნება, ტკივილები გაქრება.

**თუ წელი გტკივათ**—გაქვთ რადიკულიტი ან სხვა დაავადება, მდუღარე წყალი დაასხით ახალთახალ სურნელოვან ნახერხს, ცოტა ხანს გააჩერეთ ჭურჭელში, შემდეგ წყალი გადაწურეთ, ნახერხი დაყარეთ თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას, გადააფარეთ ტილანდი, ზედ დაწექით და თბილად დაიხურეთ. რამდენიმე პროცედურის შემდეგ წელის ტკივილი გაგიქრებათ.

---

# გილოცავთ

**ლელა ხაზულიანს, ავთო ახვლედიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ოთარ გაგისონია ოჯახით.**

---

**ინგა გუჯუს ასულ მუშკუდიანს**
**დავით აფრასიონის ძე კანაჩაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
**ნათლული მარინე იურის ასული ხეცურიანი.**

---

**ინგა გუჯუს ასულ მუშკუდიანს**
**დავით აფრასიონის ძე კანაჩაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.
**ნათლია დარეჯან ცხვედიანი.**

---

**თამილა ტყაბლაძეს, გოჩა ფრუიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**ავთო, ანზორ ახვლედიანები ოჯახებით.**

---

**ჟუჟუნა შკუბულიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს.
**ნათლული მედეა მეშველიანი.**

---

**ლეილა, გელა ხაზულიანებს**
გილოცავთ ლელას ბედნიერებას.
**ომარი მიქაძე ოჯახით.**

---

**ტანია, შამილ კოპალიანებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. იმრავლეთ და იხარეთ.
**გურანდა, ლევან გასვიანები.**

---

**გელა, ლეილა ხაზულიანებს**
გილოცავთ ლელას ბედნიერებას.
**ჟორა თუთისანი, კახა მუშკუდიანი ოჯახებით.**

---

**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**
გილოცავთ ქალიშვილების შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილები.
**ნინო, გია კოპალიანები.**

## მილოცვები

მაყვალა მურცხვალაძეს, გოგი სვანიძეს
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
ნათია, მერი, ზესიკ კვენეტაძეები.

---

ნონა ჯიაძეს, მურთაზ კიბაბიძეს
მაყვალა მურცხვალაძეს, გოგი სვანიძეს
გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.
ვალიდა ჭაბუკიანი.

---

ლელა ხაბულიანს, ავთო ახვლედიანს
გილოცავთ ბედნიერებას.
ჟორა თუთისანი, კახა მუშკუდიანი ოჯახებით.

---

ლელა ხაბულიანს, ავთო ახვლედიანს
გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.
ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი.

---

ლელა, დათო, ლენა, ოლღა გიორგელიძეებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის, შვილთაშვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ნინო, გია კოპალიანები.

---

ჟანია ვიუგოვას, თენგიზ კოპალიანს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი, გფარავდეთ ღმერთი.
სოზარ კოპალიანი, ტუშურა ჩაკვეტაძე ოჯახებით.

---

ნათელა შარდენის ასულ კოპალიანს
გილოცავთ ძმისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.
ციცო, ნელი სალუქვაძეები, ლია ხვადაგიანი, ვედიკო ნემსაძე, მანანა გოგიძე, მანანა კოპალიანი, მანანა სალინაძე, ქუჩუნა მეშველიანი, აზა ირემაძე, გული სვანიძე, მაია გახოკლიანი.

---

დოდო თავვაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს.
მაკა გურჩიანი.

---

ოთარ ერმილეს ძე სალინაძეს
ბაბუა! გილოცავთ დაბადების დღეს.
ზექა, ლანა, ოთარი, ენა სალინაძეები, ლევანი, ნანა უზრეხელიძეები.

---

## ხსოვნა

# კახა ოთარის ძე ჩხეტიანი

ხუთი თვეა, რაც წახვედი ჩვენგან სამუდამოდ. მუხანათურად ჩასაფრებულმა ბედისწერამ სამუდამოდ დაგაშორა შენს საყვარელ სპორტსა და სტუდენტობას, ახლობლებს შენსას დაგვრჩა მოუნელებელი სატკივარი, გვიჭირს უშენობა, გვენატრება შენი აშოლტილი ტანი და მოხდენილი სიარული.

მამით ობლობამ სევდიანი და გულჩათხრობილი გაგზარდა. რამდენი წარმატება გქონდა და სიტყვაც არავისთან დაგიძრავს. შენს საქმეს უჩუმრად აკეთებდი. უამრავი დიპლომი, ჯილდო და სიგელი მოგვიტანეს შენმა მეგობრებმა შენი უბედურების დღეებში. ყველას გამორჩეულად უყვარდი, ამ ძნელბედობის ჟამს [illegible] დნენ შენი [illegible] მეგობრები და ბოლო [illegible] გაფრქვევდნენ.

ხშირად მივდივართ შენს უბედურ დედასთან და დასთან, გვინდა ვანუგეშოთ, მაგრამ შენი სურათის დანახვისას სიტყვა პირზე გვაშრება, რა იმედი მივცეთ შენნაირი შვილის დამკარგავ დედას.

ღმერთმა ნათელში გამეოფოს, ჩვენო მოკრძალებულო, თავმდაბალო, ალერსიანო ბიჭო.

ახლობლები.

---

რეზო ლეთოდიანი, ავთო კოპალიანი, მამუკა კიკნაძე, ბარამ ბაღათურია... 

რეზო ლეთოდიანი, ავთო კოპალიანი, მამუკა კიწურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**საშა მუშკუდიანი**

---

ცაგერის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მორისა სვანიძეს დედის
**დესიკოს**
გარდაცვალების გამო.

---

ჯონი ხალიანი ოჯახით თანაუგრძნობს გოგი და დავით ომანაძეებს დედის
**ლუბას**
გარდაცვალების გამო.

---

ოლეგ, თემურ, იური, ასლან რეზო, ბესო, ბუხუტან ომანაძეები, გივი ყურაშვილი, გაბრიელ ჯანელიძე, გურამ ქიკალიშვილი, რამაზ გაბილაძე, ნანა მანდარია, ლუდუკი მამარდაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ლუბა ომანაძის**
გარდაცვალების გამო.

---

საშა გენიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**საშა მუშკუდიანი**

---

შოთა, ტუკა ჩხეტიანები, ვალიკო გოლეთიანი, ირინე მამალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გრიშა გენდელიანი**
და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

წიფერჩის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა ხეცურიანს გამამთილის
**გრიშა გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს თამილა, ზაირა, ლალი გენდელიანებს
**გრიშა გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მარიკა, როლანდ მამარდაშვილებს ბიძაშვილის
**ჯემალ მამარდაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**ლუბა ჩხეტიანი—ომანაძე**

---

შვილები გოგი, დათო, რძლები ეთერი, ნუნუ, შვილიშვილები ნატო, გიორგი, ნინო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ლუბა ჩხეტიანი—ომანაძე**
დაკრძალვა 12 თებერვალს, შაბათს, სოფ. ზუბში.

---

გოგუცა გენდელიანი, მიშა, სერაპიონ, გოჩა ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან
**ლუბა ომანაძის**
გარდაცვალებას.

---

იონა მამარდაშვილი, მიხეილ, შოთა სვანიძეები, იური, თამაზ გენდელიანები, ბორის კოპალიანი, ჟორა ფირცხალავა, უჩა, ნოდარ ლიპარტელიანები, გრიშა ახვლედიანი, რუბენ, მერაბ დავითულიანები, ბუჭუ შკუბულიანი, ჟორა თუთისანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს
**გრიშა ათანასეს ძე გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, რეზო ყურაშვილები, სულიკო კუხალაშვილი, როლანდ ავალიანი, ვახტანგ ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**გრიშა გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ძმისშვილები კარლო, სოსო გენდელიანები, სიძე კოლუმბი ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**გრიშა გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

და ნუცა, სიძე ოთარ ჩხეტიანები, დისშვილები ჯეირან, ნანი, ჯენი სიძე თემურ ეგუტიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დესიკო გენდელიანი**

---

ნიკო თუთისანი, როლანდ ლარცულიანი თანაუგრძნობენ ოთარ სვანიძის ოჯახს
**დესიკო სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

გიმარ, მალხაზ გენიძეები, დადაში ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ჯუმბერ სალინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ოთარი, შვილები შორენა, შურმანი, ქეთინო, ირინე, რძალი დარეჯან ჩუბინიძე, სიძეები ჯანიკო კოპალიანი, იური ახვლედიანი, ბონდო თუთისანი, ძმა მიშა, დები სონა, ნუცა გენდელიანები, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დესიკო ათანასეს ასული გენდელიანი—სვანიძე**
დაკრძალვა 12 თებერვალს, შაბათს, სოფ. სანორჩში.

---

მირიან ახვლედიანი, დადაში გოლეთიანი, როსტომ გასვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შორენა და ჯანიკო კოპალიანებს დედისა და სიდედრის
**დესიკო გენდელიანი სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ჩიქოვანი, სოსო კოპალიანი, მამუკა სკანიძე, მურმან გუბავა, ბორის ჭაბუკიანი, ბექაზ ტვილდიანი, რომან ყურაშვილი, ნივრა ქომეთიანი, მედიკო ახვლედიანი, დათო ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი ჩხეტიანის ოჯახს მამის
**გრიშას**
გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა, ბადრი სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ დოდო, გერონტი კალანდაძეებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯუმბერის**
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დესიკო გენდელიანი სვანიძე**

---

ნინო, თენგიზ კოპალიანები თანაუგრძნობენ ეთერ და გოგი ომანაძეებს დედის
**ლუბა ომანაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ კლიმენტის ძე ხეცურიანი, როსტომ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**გრიშა გენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქუჩუნა, შვილები ლალი, მურთაზი, რომანი, ხვიჩა, და ქუჩუნა, რძლები დოდო, ლენა, ზაირა, მთვარისა, ლალი, შვილიშვილები, ძმისშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**გრიშა (დუშანა) ათანასეს ძე გენდელიანი**
დაკრძალვა 10 თებერვალს, ხუთშაბათს სოფ. ჩქუმში.

---

გურამ სოგრატის ძე ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს გოგი, დათო ომანაძეების ოჯახებს დედის
**ლუბას**
გარდაცვალების გამო.

---

მევლუდ, ელგუჯა ლიპარტელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მწუხარებაში დათო, გოგი ომანაძეებს დედის
**ლუბას**
გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანურჰესის კასკადის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საწარმოს ინჟინერი
**ნინო კარლოს ასული ფრუიძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გივი, გიზო, გურამ სალინაძეები, შოთა რადიონის ძე კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბელა კოპალიანის ოჯახს დედის
**ოლიას**
გარდაცვალების გამო.

---

ანზორ, ავთო, ბიძინა ახვლედიანები თანაუგრძნობენ ქეთინო სვანიძეს, იური ახვლედიანს დედისა და სიდედრის
**დესიკო სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

გურამ, ზურაბ, ანზორ ტვილდიანები თანაუგრძნობენ ქეთინო, იური ახვლედიანებს დედისა და სიდედრის
**დესიკოს**
გარდაცვალების გამო.

---

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თვად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22—81.
შეკვეთა №1 ტირაჟი 600

ცაგერის რაიონული სტამბა